ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N22

2021 წლის 31 მარტი

ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი"-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ე" ქვეპუნქტის შესაბამისად:

1.ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგისტრირებული სასკოლო ასაკის უსინათლო ან/და მხედველობის სხვადასხვა პრობლემის მქონე მოზარდების იდენტიფიცირების, მათი რაოდენობის დადგენისა და საჭიროებების შესწავლისა და საკითხზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნის მიზნით, სამი თვის ვადით შეიქმნას დროებითი სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ლია შაქარიშვილი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

წევრები:

დავით წულუკიძე -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მამია ჟორდანია - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;

მამუკა შამილიშვილი - ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;

იოსებ ჟღენტი -ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - კონსერვატორები"-ს თავმჯდომარე;

2. დროებითმა სამუშაო ჯგუფმა შესრულებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია წარუდგინოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

3. კონტროლს განკარგულების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად;

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30);

5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი